ყურადღების დეფიციტისა და სტრესის კორელაცია ქალის ფიზიოლოგიური ციკლის ფაზებში

ანი რაინაული

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) : კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაყაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

კვლევის მთავარი მიზანი იყო დაედგინა, სტრესი კავშირში იქნება თუ არა მენსტრუალური ციკლის პრე-მენსტრუალურ ფაზაში გამოვლენილ სიმპტომატიკასთან, დამატებით ეჩვენებინა იცვლება თუ არა ყურადღების მაჩვენებლი პრე-მენსტრუალურ პერიოდში, პოსტ-მენსტრუალურ (არა ოვულაციური) პერიოდთან შედარებით და ბოლოს გამოევლინა კავშირი პრე-მენსტრუალურ პერიოდის სიმპტომებსა და ამავე პერიოდში გამოვლენილ ყურადღების მაჩვენებელს შორის. შედეგების მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლინდა სტრესსა და პრემენსტრუალურ სიმპტომებს შორის, ასევე არ მივიღეთ ყურადღების განსხვავებული მაჩვენებლი პრემენსტრუალურ პერიოდში და საბოლოოდ, კორელაციური კავშირი არ გამოვლინდა პრე-მენსტრუალური პერიოდის ყურადღების მაჩვენებელსა და სიმპტომატიკას შორის. შედეგების მიხედვით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სტრესს კავშირი არ აქვს პრე-მენსტრუალური პერიოდის სიმპტომატიკის მრავალფეროვნებასთან. ასევე, ქალებში ყურადღების მაჩვენებლი არ უარესდება პრემენსტრუალურ ფაზაში და არ კორელირებს ამავე პერიოდის სიმპტომატიკასთან.

საძიებო სიტყვები: მენსტრუალური ციკლი, პრემენსტრუალური სინდრომი, სტრესი, ყურადღება

აბრევიატურების ჩამონათვალი: პმს - პრემენსტრუალური სინდრომი